ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის მუნიციპალური მექანიზმები:

რას სთავაზობენ ადგილობრივი ბიუჯეტები ქალებს?

10 სამიზნე მუნიციპალიტეტის
2024-2026 წლების ბიუჯეტების
შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ა ნ ა ლ ი ზ ი

სარჩევი

I. შესავალი - როგორ აისახება ქალთა საჭიროებები ადგილობრივ პროგრამებში 3

1.1 კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო 4

1.2 ტერმინოლოგიური შენიშვნა 4

II. მეთოდოლოგია 5

2.1 რას ვეძებდით ბიუჯეტებში 5

2.2 მუნიციპალური მხარდაჭერის საერთო ტენდენციები 5

III. მუნიციპალიტეტების მიხედვით: ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის 2024-2026 წლების პროგრამების შედარებითი ანალიზი 7

3.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 8

3.2 სენაკის მუნიციპალიტეტი 10

3.3 ვანის მუნიციპალიტეტი 12

3.4 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი 14

3.5 ქუთაისის მუნიციპალიტეტი 16

3.6 ხონის მუნიციპალიტეტი 19

3.7 წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 21

3.8 წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 23

3.9 ხობის მუნიციპალიტეტი 25

3.10 თერჯოლის მუნიციპალიტეტი 26

IV. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზის ძირითადი დასკვნები 27

4.1 ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის მუნიციპალური სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებები 29

I. შესავალი - როგორ აისახება ქალთა საჭიროებები ადგილობრივ პროგრამებში

ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ ფინანსური დოკუმენტი არ არის. ის ასახავს მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ პრიორიტეტებს და პასუხისმგებლობას კონკრეტული სოციალური ჯგუფების მიმართ. შესაბამისად, ბიუჯეტის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, რამდენად არის ძალადობაგამოვლილი ქალების საჭიროებები აღიარებული, როგორც მუნიციპალური პოლიტიკის დამოუკიდებელი მიმართულება და რამდენად პასუხობს არსებული პროგრამები და სერვისები მათ კომპლექსურ საჭიროებებს.

10 სამიზნე მუნიციპალიტეტის (**წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, ჩოხატაური, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი**) 2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ქალთა მხარდაჭერისა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების საკითხები ადგილობრივ პროგრამებში უკვე აისახება. თუმცა მუნიციპალიტეტების პროგრამები განსხვავდება, როგორც მხარდაჭერის ფორმებითა და დაფინანსების მოცულობით, ასევე მათი სტაბილურობითა და განვითარების დინამიკით.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში **ძალადობაგამოვლილი ქალი მხარდაჭერის დამოუკიდებელ სამიზნე ჯგუფად არის გამოყოფილი** და მათთვის გათვალისწინებულია კონკრეტული დახმარების მექანიზმები, როგორებიცაა: ფინანსური დახმარება, ბინის ქირის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსება, თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის მომსახურების თანადაფინანსება ან - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები. ზოგ შემთხვევაში ქალთა საჭიროებები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ან სოციალური დაცვის პროგრამებში აისახება. რიგ მუნიციპალიტეტში კი ძალადობაგამოვლილი ქალები კვლავ მოქცეულები არიან ზოგად სოციალურ კატეგორიებში: „სოციალურად დაუცველი“, „უსახლკარო“, „მძიმე პირობებში მყოფი ოჯახი“, „მარტოხელა მშობელი“.

1.1 კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო

მუნიციპალური ბიუჯეტების შეფასებისას მთავარი კითხვა არ არის მხოლოდ ის, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს ქალთა მხარდაჭერის პროგრამა. მთავარი კითხვაა, რამდენად ქმნიან მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამები ძალადობაგამოვ-ლილი ქალებისთვის მხარდაჭერის თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ სისტემას - კრიზისული დახმარებიდან უსაფრთხო საცხოვრისამდე, სამართლებრივ დაცვამდე, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერამდე, შემოსავლის წყარომდე და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობამდე.

მთავარი კითხვა:

რამდენად ქმნის ადგილობრივი ბიუჯეტი ძალადობაგამოვლილი ქალისთვის რეალური მხარდაჭერის გზას - კრიზისული დახმარებიდან უსაფრთხო საცხოვრისამდე, სამართლებრივ დაცვამდე, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერამდე, შემოსავლის წყარომდე და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობამდე?

1.2 ტერმინოლოგიური შენიშვნა

2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდში მუნიციპალურ დოკუმენტებში იცვლება გენდერული თანასწორ-ობის მიმართულებით მოქმედი საბჭოებისა და პროგრამების ოფიციალური დასახელებები. თუ 2024 წლის ბიუჯეტებსა და სხვა მუნიციპალურ დოკუმენტებში გამოყენებულია ტერმინები „გენდერული თანასწორობის საბჭო“ და „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“, 2025-2026 წლების დოკუმენტებში მათ ნაცვლად გვხვდება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობა“, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“ ან „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“. წინამდებარე ანალიზში გამოყენებულია შესაბამისი პერიოდის ოფიციალური დასახელებები, რაც უზრუნ-ველყოფს სხვადასხვა წლის საბიუჯეტო დოკუმენტების ზუსტ ასახვას.

გარდა ამისა, ანალიზში უპირატესობა ენიჭება ტერმინს „ძალადობაგამოვლილი ქალი“, ხოლო ოფიციალური პროგრამებისა და საბიუჯეტო ჩანაწერების აღწერისას შენარჩუნებულია ტერმინი „ძალადობის მსხვერპლი“, რომელიც მოქმედ სამარ-თლებრივ და საბიუჯეტო დოკუმენტებშია დამკვიდრებული. ტერმინი „ძალადობა-გამოვლილი ქალი“ ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ survivor-centred/victim-survivor-centred მიდგომას, რომლის დროსაც ქალი განიხილება არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლად, არამედ მხარდაჭერის პროცესის აქტიურ მონაწილედ, რომლის საჭიროებები, არჩევანი და გადაწყვეტილებები განსაზღვრავს რეაგირების პროცესს.[1]

[1] იხ. UN Women, UNFPA, WHO, UNDP & UNODC, Essential Services Package for Women and Girls Subject to Violence, 2015; UNFPA, Gender-Based Violence; UNFPA Asia-Pacific, A Survivor-Centred Approach to Monitoring Gender-Based Violence Response Programming, 2024.

II. მეთოდოლოგია

2.1 რას ვეძებდით ბიუჯეტებში

სამაგიდე კვლევის ფარგლებში საქველმოქმედო-ჰუმანიტარულმა ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებული სამიზნე მუნიციპალიტეტების 2024, 2025 და 2026 წლების ბიუჯეტები შეისწავლა.

კვლევის მიზანია ადგილობრივ ბიუჯეტებში **ქალთა საჭიროებაზე, მხარდაჭერასა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების პროგრამების განვითარების შეფასება, წლების მიხედვით ცვლილებების გამოვლენა და იმ ტენდენციების ანალიზი**, რომლებიც მიუთითებს მუნიციპალური მხარდაჭერის გაძლიერებაზე, შესუსტებაზე, სტაგნაციასა თუ ფრაგმენტულობაზე.

ანალიზის ფარგლებში შეფასდა ის საბიუჯეტო პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ქალთა მხარდაჭერას და ოჯახში ძალადობაზე რეაგირებას. მათ შორის განხილულია ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, საცხოვრისის მხარდაჭერა, თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის თანადაფინანსება, ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ჩანაწერები, ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობები და ქალთა საკითხებზე მოქმედი მუნიციპალური მექანიზმები, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მიმართულებები შესაბამის ბიუჯეტებში იყო ასახული.

ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტებში ასახულ პროგრამულ ჩანაწერებსა და ასიგნებებს და არ აფასებს პროგრამების პრაქტიკულ შესრულებას ან ბენეფიციარებზე რეალურ გავლენას.

2.2 მუნიციპალური მხარდაჭერის საერთო ტენდენციები

10 მუნიციპალიტეტის 2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ადგილობრივ დონეზე ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების ცალკეული ელემენტები უკვე არსებობს. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გვხვდება ფულადი დახმარება, ბინის ქირით ან დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ზოგიერთში კი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები ქალის და მამაკაცის თანასწორობის პროგრამებსა და მუნიციპალური საბჭოების საქმიანობაში არის ასახული. ამასთან, მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისები უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ არ ქმნის ერთიან სისტემას, რომელიც ძალადობაგამოვლილი ქალის თანმიმდევრულ და საჭირო მხარდაჭერას - კრიზისული მდგომარეობიდან დამოუკიდებელ ცხოვრებამდე - უზრუნველყოფს.

მხარდაჭერის სისტემა

კრიზისული დახმარება → უსაფრთხო საცხოვრისი → ფსიქოლოგიური მხარდაჭერა → იურიდიული კონსულტაცია → ეკონომიკური გაძლიერება → სოციალური რეინტეგრაცია

ცხრილი 1.

ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის მექანიზმები მუნიციპალიტეტების მიხედვით

	პირდაპირი დახმარება	ქირა/ თავშესაფარი	საბჭო/ პროგრამა	ეკონომიკური გაძლიერება	მთავარი შეფასება
ზუგდიდი	დიახ	დიახ	დიახ	ნაწილობრივ	**შედარებით მრავალმიმართულ-ებიანი ჩარჩო**
სენაკი	დიახ	დიახ	პირდაპირ არ იკვეთება	არა/სუსტად	**ძლიერი სოციალური ადაპტაციის მოდელი**
ვანი	დიახ	დიახ	დიახ	არა/სუსტად	**ძალადობის საკითხი რამდენიმე პროგრამაში ჩანს**
ჩოხატაური	დიახ	არ ჩანს	დიახ	დიახ	**ქალი ჩანს როგორც ეკონომიკური აქტორიც**
ქუთაისი	დიახ	ნაწილობრივ	დიახ	არ ჩანს	**მხარდაჭერა არსებობს, მაგრამ თანხები მცირეა**
წყალტუბო	დიახ	დიახ	დიახ	არა/სუსტად	**ხედავს საცხოვრისის საჭიროებას**
ხობი	განსაკუთრებით 2025-ში	განსაკუთრებით 2025-ში	2025-ში ჩანს	არა/სუსტად	**2025 წელი გარდატეხის წერტილია**
წალენჯიხა	დიახ	არ ჩანს	დიახ	არა/სუსტად	**პირდაპირი დახმარება იზრდება, მაგრამ ინდივიდუალური მხარდაჭერა მცირეა**
ხონი	სუსტად/ ქირის ხაზით	დიახ, მცირე რესურსით	არ ჩანს	არა	**საცხოვრისის საჭიროება აღიარებულია, თუმცა რესურსი მცირეა**
თერჯოლა	არ ჩანს პირდაპირ	ირიბად	არ ჩანს	არა	**ქალი ზოგად სოციალურ კატეგორიებშია მოქცეული**

III. მუნიციპალიტეტების მიხედვით: ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის 2024-2026 წლების პროგრამების შედარებითი ანალიზი



3.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება** (პროგრამული კოდი 06 02 03) - ერთჯერადი ფინანსური დახმარება განისაზღვრება **100-800 ლარამდე** ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოს გადაწყვეტილებით) **სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად**;
- ✓ **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა** - 06 02 09 პროგრამა ითვალისწინებს ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლთათვის **200 ლარის** ოდენობით **ყოველთვიურად**, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით;
- ✓ **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარ-დაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა** (პროგრამული კოდი 06 02 11) - პროგრამა ითვალისწინებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ფინანსურ მხარდაჭერას **წელიწადში ერთხელ 100-500 ლარის ფარგლებში**, კომისიის გადაწყვეტილებით.
- ✓ **სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა** (პროგრამული კოდი 06 03 01) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს, სხვა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ პირებთან ერთად, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვისაც ყოველთვიურ ფულად დახმარებას, **თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით წლის ბოლომდე.** აღნიშნული თანხა მოხმარდება საკვები პროდუქტების, ჰიგიენის საშუალებებისა და საკანცელარიო ნივთების შეძენას. ქვეპროგრამაში ოჯახების ჩართვა ხდება სოციალური მუშაკის ვიზიტის შემდეგ, ინტერდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით;
- ✓ **სოციალური დაცვის პროექტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა** (პროგრამული კოდი 06 02 12) - პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლების ჩართულობას პროექტებში. ასევე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვი-თარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტები შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი შესაბამისი კომისიის და დებულების მიხედვით.

ზუგდიდის 2026 წლის ბიუჯეტში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში **ძალადობაზე რეაგირება რამდენიმე პროგრამულ მიმართულებაში გვხვდება**: ერთჯერადი ფინანსური დახმარება, საცხოვრისთან დაკავშირებული მხარდაჭერა, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების დახმარება, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა და სოციალური პროექტების დაფინანსება. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი ძალადობის საკითხს მხოლოდ ერთ პროგრამაში არ აქცევს და მას სოციალური დაცვის სხვადასხვა მექანიზმთან აკავშირებს.

ამასთან, 2024-2026 წლების შედარება აჩვენებს მხარდაჭერის შესუსტების ნიშნებსაც. წინა წლებში 06 02 03 პროგრამა ფინანსურ დახმარებასთან ერთად **მოქმედ კრიზისულ ცენტრში განთავსებასაც ითვალისწინებდა,** 2026 წლის ჩანაწერში კი ეს **კომპონენტი არ არის ასახული.** ასევე, სოციალური დაცვის პროექტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა კვლავ ასახელებს ძალადობის მსხვერპლებს მოწყვლად ჯგუფებს შორის, თუმცა მისი **დაფინანსება 2024 წელთან შედარებით ნაკლებია. კრიზისული მხარდაჭერის კომპონენტის ამოღება და დაფინანსების შემცირება მიუთითებს მუნიციპალური მხარდაჭერის შესუსტებაზე,** რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის კრიზისულ ეტაპზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შემდგომ სპეციალიზებულ მხარდაჭერაზე დროული წვდომის შესაძლებლობას.

პოზიტიურია, რომ 2026 წლის ბიუჯეტში მხარდაჭერა გათვალისწინებულია, როგორც ძალადობის მსხვერპლი ზრდასრული პირებისთვის, ასევე ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარების ქვეპროგრამა, სადაც **სოციალური მუშაკის და ინტერდისციპლინური გუნდის ჩართულობაა უზრუნველყოფილი**. თუმცა ბიუჯეტში ცალკე არ არის წარმოდგენილი ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სპეციალიზებული ფსიქო-სოციალური და იურიდიული დახმარების, კრიზისული ცენტრის/თავშესაფრის მომსახურების და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის 06 02 12 პროგრამა ითვალისწინებს „პროექტებში“ ძალადობის მსხვერ-პლთა ჩართულობას, ბიუჯეტი არ აკონკრეტებს პროექტების შინაარსს, მიზანს და მხარდაჭერის ფორმებს. შესაბამისად, შეუძლებელია შეფასდეს, რამდენად უკავშირდება აღნიშნული პროგრამა ძალადობაგამოვლილი ქალების ეკონომიკურ გაძლიერებასა და დამოუკიდებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობების შექმნას.

მთავარი მიგნება:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ძალადობაგამოვლილი ქალების და ბავშვების მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით ითვალისწინებს: ფინანსური დახმარება, დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების დახმარება, ბავშვის უფლებების დაცვა და სოციალური პროექტების დაფინანსება, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე მრავალმიმართულებიან მუნიციპალურ მოდელად აქცევს.

თუმცა 2026 წლის ტექსტში კრიზისულ ცენტრში განთავსების ჩანაწერის ამოღება და 2024 წელთან შედარებით ნაკლებად დაფინანსებული სოციალური პროექტები ამცირებს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სპეციალიზებული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობასა და მუნიციპალური რეაგირების შესაძლებლობას კრიზისულ საჭიროებებზე.

3.2 სენაკის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა** (პროგრამის კოდი 06 02 07) - პროგრამა ითვალისწინებს ფინანსური დახმარების გაწევას დამოუკიდებლად ცხოვრების, სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის, კერძოდ:
  - ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად გაიცემა **ერთჯერადად 500 ლარი საბიუჯეტო წლის განმავლობაში**;
  - სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და/ან მისი არასრულწლოვანი შვილებისთვის, თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით სარგებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ახორციელებს **დღიური ხარჯის ანაზღაურებას თითოეულ ბენეფიციარზე 30 ლარის ოდენობით**;
  - **უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა ფართით** (კომპენსაცია ბინის ქირის ასანაზღაურებლად). დახმარება გაიცემა **ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით საბიუჯეტო წლის განმავლობაში.**

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის ცალკე პროგრამაა გათვალისწინებული**. მნიშვნელოვანია, რომ **სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა** ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდაჭერის რამდენიმე მექანიზმს აერთიანებს: ერთჯერად 500-ლარიან ფინანსურ დახმარებას, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისთვის ბინის ქირის კომპენსაციას და თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში დღიური ხარჯების თანადაფინანსებას, როგორც ძალადობის მსხვერპლზე, ასევე მის არასრულწლოვან შვილებზეც.

დაფინანსების დინამიკაც შედარებით პოზიტიურია: 2024 წელს პროგრამის დაფინანსება 52.9 ათასი ლარი იყო, 2025 წელს - 95.0 ათასი ლარი, ხოლო 2026 წელს - 90.0

ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ 2026 წელს დაფინანსება 2025 წელთან შედარებით შემცირებულია, ის მაინც მნიშვნელოვნად აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს. ეს მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტი ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას კვლავ სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის მოდელი დადებით პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ფინანსურ, საცხოვრისისა და კრიზისული მხარდაჭერის რამდენიმე ურთიერთშემავსებელ მექანიზმს აერთიანებს. თუმცა მასში კვლავ არ არის გათვალისწინებული ძალადობა-გამოვლილი ქალების შემდგომი გაძლიერებისა და აღდგენის მხარდამჭერი სპეციალიზებული პროგრამები, მათ შორის ფსიქოსოციალური, იურიდიული დახმარება და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები. ამდენად, მხარდაჭერის სისტემის შემდგომი განვითარება საჭიროებს აღნიშნული კომპონენტების ინტეგრირ-ებას, რათა მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს არა მხოლოდ კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირება, არამედ ძალადობაგამოვლილი ქალების გრძელვადიანი მხარდაჭერაც.

მთავარი მიგნება:

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა მოქცეულია ცალკე პროგრამულ ჩარჩოში „სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა“.

პროგრამა მოიცავს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის თანადაფინანსებას და საცხოვრებლის დროებითი მხარდაჭერის კომპონენტს. თუმცა ის, ძირითადად, კრიზისულ საჭიროებებს პასუხობს, ხოლო ქალის გრძელვადიანი მხარდაჭერისა და გაძლიერების სპეციალიზებული პროგრამები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

3.3 ვანის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება** (კოდი 06 02 12) **-** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა **ერთჯერად** ფინანსურ დახმარებას **500 ლარის** ოდენობით საბიუჯეტო წლის მანძილზე;
- ✓ **ბინის ქირით უზრუნველყოფა** (კოდი 06 02 13) - ქვეპროგრამა მოიცავს ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულ და საცხოვრებელი ფართის არმქონე პირებსაც**; გაზრდილი ქირის ლიმიტი 2026 წელს** ქ. ვანის ტერიტორიაზე არაუმეტეს **300 ლარი თვეში**, სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს **250 ლარი თვეში** საბიუჯეტო წლის მანძილზე**;**
- ✓ **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება** (კოდი 06 02 16) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარებას. პროგრამით მოსარგებლეებს შორის არიან ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, სრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლები. წლის განმავლობაში დახმარების ოდენობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე განისაზღვრება ოჯახის სრულწლოვან წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით: ა) ერთსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით; ბ) ორსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით; გ) სამსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით; დ) ოთხ და მეტსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;
- ✓ **ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა** (კოდი 06 02 17) - პროგრამა მოიცავს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს, მათ შორის ბავშვებს, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლები, ან ჰყავთ ძალადობის მსხვერპლი მშობელი. გაიცემა ფულადი დახმარება: ერთბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 700 ლარით, ორბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 1200 ლარით, სამბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 1500 ლარით, ოთხ და მეტბავშვიან ოჯახზე - არაუმეტეს 2000 ლარით. დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი (საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა) სახით, ერთჯერადად, ასევე ნაწილ-ნაწილ;
- ✓ **ქალთა და ბავშვთა საკითხების ხელშეწყობა** (კოდი 06 03) - პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზება.

ვანის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში **ოჯახში ძალადობის საკითხი ერთზე მეტ პროგრამულ მიმართულებაშია გათვალისწინებული**. მხარდაჭერა მოიცავს ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული და საცხოვრებელი ფართის არმქონე პირებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფას და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარებას.

ვანის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრაქტიკას წარმოადგენს **ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამა,** რომელიც მოიცავს, როგორც **ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ასევე ძალადობის მსხვერპლი მშობლის შვილებსაც.** ეს აფართოებს მხარდაჭერის ფარგლებს და **აღიარებს ძალადობის გავლენას ბავშვზე** მაშინაც, როდესაც ის ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არის.

2026 წელს **იზრდება ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირებისთვის ბინის ქირის კომპენსაციის ოდენობა.** თუ 2024 და 2025 წლებში ქალაქ ვანში ბინის ქირის კომპენსაცია თვეში 200 ლარს შეადგენდა, 2026 წელს იგი 300 ლარამდე გაიზარდა. ანალოგიური ზრდაა გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც, რის შედეგადაც პროგრამის საერთო დაფინანსება 20.9 ათასი ლარის ნაცვლად 40.0 ათასი ლარი გახდა. ეს ცვლილება დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან კომპენსაცია უფრო მეტად შეესაბამება საცხოვრისის რეალურ ხარჯებს და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის დროებითი საცხოვრისის ხელმისაწვდომობას ზრდის.

ამასთან, ძალადობის **მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება კვლავ მცირე და არასტაბილურია, რაც ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის** დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად საკმარის მხარდაჭერას ვერ ქმნის. მაგ., 2024 წელს 1.5 ათასი ლარი იყო, 2025 წლის ასიგნებებში 0.0 ფიქსირდება, ხოლო 2026 წელს - 3.0 ათასი ლარი. ფსიქოლოგიური, იურიდიული და ეკონომიკური გაძლიერების ცალკე სერვისები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას აჩვენებს: 2024 წლის ბიუჯეტში „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა“ პირდაპირ მიუთითებდა ძალადობის მსხვერპლ და/ან რისკ-ჯგუფის ქალებზე, ასევე მოწყვლად ჯგუფებზე, მათი საჭიროებების შესწავლასა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავებაზე. 2025-2026 წლებში ეს ჩანაწერი „ქალთა და ბავშვთა საკითხების ხელშეწყობის“ უფრო ზოგადი ფორმულირებით შეიცვალა, ხოლო პროგრამა ნაკლებად განსაზღვრავს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე მიმართულ პრიორიტეტებს.

მთავარი მიგნება:

ვანის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის საკითხი რამდენიმე მიმართულებაში გვხვდება: ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ბინის ქირით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება და ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, არამედ ძალადობის მსხვერპლი მშობლის შვილებსაც.

თუმცა 2025-2026 წლებში გენდერული თანასწორობის ჩანაწერი უფრო ზოგადი ხდება, ხოლო ფსიქოსოციალური, იურიდიული და ეკონომიკური გაძლიერების ცალკე სერვისები ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის არ არის გათვალისწინებული.

3.3 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **ქალთა ეკონომიკური გაძლიერება** (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02) **-** ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის **დაფინანსების შესაძლებლობა**;
- ✓ **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება** (ქვეპროგრამის კოდი 06 02 08) - თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარება არაუმეტეს **1000 ლარით** განისაზღვრება**;**
- ✓ **ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა** (ქვეპროგრამის კოდი 05 05 01) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებული მიდგომით გამოირჩევა და **ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას** ქალთა მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილავს, რომელთა შორის, ცხადია, ძალადობაგამოვლილი ქალებიც მოიაზრებიან. ქალი ამ შემთხვევაში წარმოდგენილია არა მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღებად, არამედ საკუთარი ეკონომიკური ინიციატივის განხორციელების აქტიურ მონაწილედ.

ამავე დროს, ბიუჯეტში პირდაპირ არის გამოყოფილი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება. თუმცა დახმარების ზედა ზღვარი 2024 წლის 1500 ლარიდან 2025-2026 წლებში 1000 ლარამდე მცირდება. ეს ცვლილება საყურადღებოა, რადგან ძალადობრივი გარემოს დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების ეტაპზე ძალადობაგამოვლილ ქალებს დამატებითი ფინანსური საჭიროებები უჩნდებათ. შესაბამისად, დახმარების შემცირება შეიძლება უარყოფითად აისახოს ქალის უსაფრთხო და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობაზე.

მთავარი მიგნება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია იმით, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ცალკე პროგრამად აქვს გამოყოფილი და ადგილობრივი ქალი მეწარმეების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამასთან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების ზედა ზღვარი 2024 წლის 1500 ლარიდან 2025-2026 წლებში 1000 ლარამდე მცირდება.

აღნიშნული მიდგომა აჩვენებს, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ქალთა მხარდაჭერას მხოლოდ ერთჯერადი სოციალური დახმარებით არ ზღუდავს და ქალთა მხარდაჭერაში განსაკუთრებულ ყურადღებას ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას უთმობს. ეს მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რადგან ეს მიდგომა ქმნის ქალისთვის შემოსავლისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფრო მდგრად წინაპირობებს.

თუმცა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა ვერ ანაცვლებს ოჯახში ძალადობაზე რეაგირების სპეციალიზებულ მხარდაჭერას, რის გამოც პირდაპირი დახმარების შემცირება ასუსტებს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის კრიზისულ ეტაპზე მხარდაჭერის შესაძლებლობებს.

3.5 ქუთაისის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **მედიკამენტებით უზრუნველყოფა ოჯახური ძალადობის მსხვერპლებისათვის** (პროგრამული კოდი 06 01 02) - ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს შორის დასახელებულია ძალადობის მსხვერპლი პირებიც. დახმარება გაიცემა **წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით**;
- ✓ **სამედიცინო დახმარება** (პროგრამული კოდი 06 01 03) - ქვეპროგრამის მიზანია სიცოცხლისთვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაზარალებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების (ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა) ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, რაც სხვა ბენეფიციარებთან ერთად ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლებსაც. სამედიცინო დახმარების მოცულობა განისაზღვრება **საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადი მიმართვის საფუძველზე**, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დადგენილი წესის მიხედვით განსაზღვრული **თანაგადახდის წილის 70%–ით, არაუმეტეს 1000 ლარისა**. **დიაგნოსტიკის** და მასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების შემთხვევებშიც **დაფინანსება/თანადაფინანსება შეადგენს 70%–ს - არაუმეტეს 1000 ლარისა.** გამონაკლისს წარმოადგენს გულსისხლძარღვთა სისტემითა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული მოქალაქეები, რომელთათვის სამედიცინო მომსახურება (ქირურგია, თერაპია, დიაგნოსტიკა) დაფინანსდება მრავალჯერადი მიმართვის საფუძველზე, გულსისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევაში ჯამურად 1000 ლარის ფარგლებში, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების შემთხვევაში კი, ჯამურად 2000 ლარის ფარგლებში. ამასთან, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბენეფიციარებს დიაგნოსტიკაც დაუფინანსდება სრულად, ლიმიტის ფარგლებში. ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ასევე, დაფინასდება რადიაქტიული იოდით თერაპია, განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. რადიოლოგიური, ლაბორატორიული დიაგნოსტიკისა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების შემთხვევები დაუფინანსდება ყველა ზემოჩამოთვლილ ბენეფიციარს, ხოლო სოციალურად დაუცველ პირებს სოციალური სარეიტინგო ქულით: 0-დან 150001-მდე;
- ✓ **ძალადობის მსხვერპლთა დახმარება** (პროგრამული კოდი 06 02 16) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევას. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა მატერიალური დახმარება **თვეში 200 ლარის ოდენობით** საბიუჯეტო წლის მანძილზე;

- ✓ **გადაუდებელი რეაგირება** (პროგრამული კოდი 06 02 19) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, კრიზისულ მდგომარეობაში/ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას, მათ შორის ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირები, რომლებიც შესაძლებელია იყვნენ ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში. ბენეფიტის მოცულობა განსაზღვრულია **არაუმეტეს 1500 ლარის ფარგლებში**;
- ✓ **ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება** (პროგრამული კოდი 06 02 26) - ქვეპროგრამა მიმართულია ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებაზე, მათ შორის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მხარდაჭერაზე. პროგრამა რელევანტურია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბავშვზე ძალადობის უარყოფითი გავლენის შემცირების კუთხით, რადგან მოიცავს სოციალური მუშაკის შეფასებას, ოჯახის ეკონომიკურ გაძლიერებას, პროფესიულ გადამზადებას/ სტაჟირებას, შემოსავლის მომტანი საქმიანობის დაწყებას ან გაფართოებას და პოზიტიური მშობლობის ტრენინგს. თითოეულ ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრება **არაუმეტეს 5000 ლარის ფარგლებში**; პროგრამა მაქსიმუმ 10 ოჯახს მოიცავს;
- ✓ **ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა საკითხების, ოჯახის გაძლიერების მხარდაჭერის ხელშეწყობა** (პროგრამული კოდი 06 03) - ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სტრატეგიითა (2025-2028) და შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებით განხორციელდება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის, ოჯახის გაძლიერების პოლიტიკის შემუშავება და გატარება; ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის, ოჯახის გაძლიერების მიმართულებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ზედამხედველობის გაძლიერება; ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება. პროგრამის მიზანია საბჭოს ეფექტური ინსტიტუციური საქმიანობის ხელშეწყობა, საბჭოს გაძლიერება და გააქტიურება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა დაცვის, ოჯახის გაძლიერების მხარდაჭერის ხელშეწყობის მიზნით.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა **სამივე წელს პირდაპირ არის გამოყოფილი**. 2026 წელსაც შენარჩუნებულია თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც ბენეფიციარს თვეში 200 ლარით, არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ ეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა, აღნიშნული თანხა დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად არ არის საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი ოჯახში ძალადობაზე რეაგირების რამდენიმე პროგრამულ მიმართულებას აერთიანებს. შესაბამისად, მხარდაჭერა არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მიზნობრივი პროგრამით. **ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა პირდაპირ ან ირიბად გათვალისწინებულია ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დახმარების, გადაუდებელი რეაგირების, ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის მიმართულებებში.** ეს კი ქალებისა და ბავშვების საჭიროებებზე უფრო მრავალმხრივი მუნიციპალური რეაგირების შესაძლებლობას იძლევა.

პოზიტიურია 2026 წლის ბიუჯეტში ძალადობის მსხვერპლთა გათვალისწინება **სამედიცინო და გადაუდებელი რეაგირების პროგრამებში.** ეს მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტი აღიარებს ძალადობის შედეგად წარმოშობილ გადაუდებელ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ პირთა დასახმარებლად უფრო მოქნილ შესაძლებლობას ქმნის.

ასევე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის არსებობა.** მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ წარმოადგენს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სპეციალიზებულ მხარდაჭერას, ის ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებას კომპლექსური და მრავალმხრივი მხარდაჭერის გზით ახორციელებს. პროგრამა ფინანსურ დახმარებასთან ერთად სოციალური მუშაობის, პროფესიული განვითარების და პოზიტიური მშობლობის კომპონენტებს აერთიანებს, რაც ოჯახური კრიზისებისა და ძალადობის რისკების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საგულისხმოა, რომ 2025 და 2026 წლების ბიუჯეტებში არ არის გათვალისწინებული 2024 წლის ბიუჯეტით ოჯახში **ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის** განსაზღვრული **სპეციალიზებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა.** აღნიშნული პროგრამის გაუქმება მნიშვნელოვნად ასუსტებს ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის სისტემას, რადგან ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მათი უსაფრთხოების, ტრავმის დაძლევის და დამოუკიდებელი ცხოვრების აღდგენის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტია.

მთავარი მიგნება:

ქუთაისის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მრავალმიმართულებიან მოდელს წარმოადგენს, რადგან ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას რამდენიმე მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს.

თუმცა სპეციალიზებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის გაუქმება და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ფსიქოსოციალური, იურიდიული, საცხოვრისისა და ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტების ერთიანი მხარდაჭერის სისტემაში არარსებობა მნიშვნელოვნად ასუსტებს ძალადობაგამოვლილ ქალთა მრავალმხრივ საჭიროებებზე მუნიციპალიტეტის ეფექტიან რეაგირებას.

3.6 ხონის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტის მიხედვით რელევანტური პროგრამები:

- ✓ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფა** (პროგრამული კოდი 06 02 15) - ქვეპროგრამა ვრცელდება ხონის მუნიციპალიტეტში **რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ** ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირზე. საცხოვრებელი ფართის დაქირავება შესაძლებელია **არაუმეტეს 6 თვის ვადით**;
- ✓ **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა** (პროგრამული კოდი 01 01 05) - პროგრამა 2026 წლის ბიუჯეტში დასახელებულია, თუმცა ჩანაწერში მისი შინაარსი, კონკრეტული აქტივობები, სამიზნე ჯგუფები და დაფინანსება არ არის დეტალიზებული. შესაბამისად, მხოლოდ პროგრამის დასახელებით ვერ ფასდება, უკავშირდება თუ არა ის ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციას, რეაგირებას ან ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას.

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთან ყველაზე პირდაპირ დაკავშირებული ჩანაწერი **ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფაა**. 2026 წელს ამ პროგრამისთვის მხოლოდ 700 ლარია გათვალისწინებული, რაც საცხოვრებლის ქირის რეალურ ღირებულებასთან შედარებით აშკარად არასაკმარისია და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ფართო და ქმედითი მხარდაჭერის შესაძლებლობას ვერ ქმნის. ბიუჯეტში ასევე ცალკე არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიური, იურიდიული, ეკონომიკური გაძლიერების ან სხვა სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისები.

პროგრამის შეზღუდული დაფინანსების მიუხედავად, ხონის მუნიციპალიტეტი სერვისზე წვდომის უფრო მოქნილ კრიტერიუმს იყენებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი მხოლოდ რეგისტრაციით არ არის

შეზღუდული. 2024, 2025 და 2026 წლების ჩანაწერებში გამოყენებულია ფორმულირება - **ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი**. ეს ხონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი **გამორჩეული პრაქტიკაა**, რადგან მუნიციპალურ მხარდაჭერას მხოლოდ ოფიციალურ რეგისტრაციას არ უკავშირებს და სერვისზე წვდომას უნარჩუნებს იმ ქალებსაც, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით ძალადობრივი გარემოს დატოვების შემდეგ მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრობენ.

ასეთი მიდგომა ამცირებს ადმინისტრაციულ ბარიერებს და ხელს უწყობს იმას, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ძალადობაგამოვლილი ქალისთვის მუნიციპალური მხარდაჭერის დაკარგვის მიზეზად არ იქცეს. ხონის გამოცდილება აჩვენებს, რომ **ფაქტობრივი ცხოვრების კრიტერიუმის გათვალისწინება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია და სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც შეიძლება კარგი პრაქტიკის მაგალითად იქცეს.**

თუმცა ხონის მუნიციპალიტეტის პროგრამების ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ხელმისაწვდომობის კრიტერიუმზე, არამედ **დაფინანსების მოცულობასა და სერვისების მრავალფეროვნებაზეც.** მუნიციპალიტეტში არსებული სერვისები ძალიან შეზღუდულია. ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სპეციალიზებული ფსიქოსოციალური, იურიდიული და ეკონომიკური მხარდაჭერის კომპონენტები.

შესაბამისად, ხონის შემთხვევაში დადებითად უნდა შეფასდეს სერვისზე წვდომის მოქნილი მიდგომა, თუმცა სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისების სახეები და დაფინანსების მოცულობა არასაკმარისია ძალადობაგამოვლილი ქალების მრავალფეროვან საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

მთავარი მიგნება:

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარ-დაჭერა, ძირითადად, ბინის ქირის კომპონენტით შემოიფარგლება. პროგრამა ვრცელდება ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირზე, რაც **აფართოებს მუნიციპალურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობას და ამცირებს ადმინისტრაციულ ბარიერებს.**

თუმცა 2026 წლის დაფინანსების სიმცირე და მხარდაჭერის სერვისების შეზღუდული ფორმები ვერ უზრუნველყოფს ძალადობაგამოვლილი ქალების საჭიროებებზე ეფექტიან რეაგირებას.

3.7 წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები:

- ✓ **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა** (პროგრამული კოდი 06 02 09) - პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერულად სენსიტიური ჯგუფების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების საჭიროებების შესწავლას, ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება/დანერგვას და ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებული მექანიზმებისა და სოციალური პარტნიორობის საკითხებზე;
- ✓ **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა** (პროგრამული კოდი 06 02 13) - აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბინის ქირით უზრუნველყოფილნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირებიც. ბინის ქირა **გაიცემა ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ლარისა** საბიუჯეტო წლის მანძილზე;
- ✓ **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთ-ჯერადი ფულადი დახმარება** (პროგრამული კოდი 06 02 05) - ქვეპროგრამა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასაც ითვალისწინებს. ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირს შეუძლია მიიღოს დახმარება გინეკოლოგის ან/და რეპროდუქტოლოგის კონსულტაციის და შესაბამისი სამედიცინო კვლევების დასაფინანსებლად, არაუმეტეს **200 ლარის ოდენობით**.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის საკითხი რამდენიმე მიმართულებაშია წარმოდგენილი: ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების საჭიროებების შესწავლა, ბინის ქირით მხარდაჭერა ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირებისთვის და კონკრეტული

სამედიცინო დახმარება გინეკოლოგის/რეპროდუქტოლოგის კონსულტაციისა და კვლევებისთვის.

ეს აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტი მკაფიოდ აღიარებს ძალადობაგამოვლილი ქალების საცხოვრისისა და ჯანმრთელობის გარკვეულ საჭიროებებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის გინეკოლოგისა და/ან რეპროდუქტოლოგის კონსულტაციისა და შესაბამისი სამედიცინო კვლევების დაფინანსება,** რაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სხვა მუნიციპალიტეტ-ებისგან გამოარჩევს. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებებზე დროული რეაგირება ძალადობაგამოვლილი ქალების აღდგენისა და რეაბილიტაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანასწორობის პროგრამა ძალადობის მსხვერპლ და/ან რისკ-ჯგუფის ქალებს ცალკე ასახელებს და მათ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების მომზადებას ითვალისწინებს.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი პრაქტიკებისა, ბიუჯეტში ცალკე არ არის გათვალისწინებული ფსიქოსოციალური, იურიდიული, ეკონომიკური გაძლიერება, რაც ძალადობაგამოვლილი ქალების აღდგენასა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას შეუწყობდა ხელს.

შედეგად, მუნიციპალიტეტი რეაგირებს ცალკეულ, გადაუდებელ საჭიროებებზე, თუმცა არ ქმნის მხარდაჭერის იმ თანმიმდევრულ სისტემას, რომელიც ძალადობა-გამოვლილი ქალების სრულფასოვანი დახმარებისთვის არის აუცილებელი.

მთავარი მიგნება:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა, ძირითადად, საცხოვრისის, რეპროდუქ-ციული ჯანმრთელობისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კომპონენტებით შემოიფარგლება და არ მოიცავს ფსიქოსოციალურ, იურიდიულ და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებს, რომლებიც ძალადობაგამოვლილი ქალების აღდგენასა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას შეუწყობდა ხელს.

3.8 წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტის მიხედვით რელევანტური პროგრამები:

- ✓ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა** (ქვეპროგრამის კოდი 06 02 09) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეებისთვის წელიწადში **ერთხელ 500 ლარის** ჩარიცხვას პირად ანგარიშზე **საბიუჯეტო წლის მანძილზე**;
- ✓ **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა** (ქვეპროგრამის კოდი: 06 09) - პროგრამა მოიცავს სენსიტიური ჯგუფების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკ-ჯგუფის ქალების საჭიროებების შესწავლას**,** ასევე საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავებასა და ცნობიერების ამაღლებას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა სამივე წელს პირდაპირ არის გაწერილი. 2026 წელსაც მოქმედებს 06 02 09 ქვეპროგრამა, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეებისთვის წელიწადში ერთხელ 500 ლარის ჩარიცხვას ითვალისწინებს.

2024-2026 წლებში „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსი თანმიმდევრულად იზრდება: 2024 წელს 1.5 ათასი ლარია, 2025 წელს - 5.0 ათასი ლარი, ხოლო 2026 წელს - 6.0 ათასი ლარი. დაფინანსების ზრდის მიუხედავად, ინდივიდუალური დახმარების ოდენობა 2024-2026 წლებში უცვლელი რჩება და წელიწადში 500 ლარს შეადგენს, რაც ვერ პასუხობს ძალადობაგამოვლილი ქალების ძალადობის შემდგომი აღდგენისა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებასთან დაკავშირებულ ძირითად საჭიროებებს.

მნიშვნელოვანია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პროგრამის ფარგლებში პირდაპირ ითვალისწინებს **ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკ-ჯგუფის ქალებისა და სხვა სენსიტიური ჯგუფების**

საჭიროებების შესწავლას. ეს მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რადგან საჭიროებების სისტემური იდენტიფიცირება ქმნის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური პოლიტიკისა და სერვისების დაგეგმვის საფუძველს. თუმცა ეს მიდგომა ჯერ კიდევ არ გამოიხატება ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სპეციალიზებულ მხარდაჭერის სერვისების საბიუჯეტო დაგეგმვასა და დაფინანსებაში. ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიური, იურიდიული, საცხოვრისისა და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები. მხარდაჭერა, ძირითადად, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით შემოიფარგლება და ვერ უზრუნველყოფს ქალების მრავალფეროვან საჭიროებებზე მიზნობრივ რეაგირებას.

მთავარი მიგნება:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აერთიანებს, როგორც ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პროგრამას, რომელიც საჭიროებების შეფასებასა და საჭიროებებზე დაფუძნებულ საბიუჯეტო დაგეგმვას ითვალისწინებს. ბიუჯეტში ქვეპროგრამის დაფინანსების ყოველწლიური ზრდა მიუთითებს, რომ ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტად რჩება.

თუმცა ინდივიდუალური დახმარების ოდენობა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უცვლელია და წელიწადში 500 ლარს შეადგენს, რაც ძალადობაგამოვლილი ქალების რეალურ საჭიროებებს ვერ ფარავს. ამავე დროს, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ძალადობაგამოვლილი ქალების ფსიქოსოციალური, იურიდიული, საცხოვრისის, ეკონომიკური გაძლიერების და გრძელვადიანი აღდგენის კომპონენტები.

3.9 ხობის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტით, **ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა ცალკე მიმართულებად არ არის გამოყოფილი,** თუმცა **შენარჩუნებულია სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა** (06 06), რომლისთვისაც 156.8 ათასი ლარია გათვალისწინებული.

საგულისხმოა, რომ **2025 წელს** სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის აღწერაში პირდაპირ იყო მითითებული გენდერულად მგრძნობიარე სოციალური პოლიტიკა და ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება. ამავე წლის 06 06 პროგრამა მოიცავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერად დახმარებას 300 ლარის ოდენობით და ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი თავშესაფრის თანადაფინანსებას.

2024-2026 წლების დინამიკა აჩვენებს, რომ 2024 წელს ხობის ბიუჯეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა ცალკე საბიუჯეტო მიმართულებად არ იყო წარმოდგენილი. 2025 წელს პირველად გაჩნდა, როგორც გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ჩანაწერი, ასევე ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი კონკრეტული ღონისძიებები. თუმცა 2026 წლის ბიუჯეტში ეს მიდგომა არ არის შენარჩუნებული: მხარდაჭერა კვლავ ზოგადი სოციალური პროგრამის ფარგლებშია წარმოდგენილი და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კონკრეტულ ფორმებს არ გამოყოფს.

შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში მთავარი პრობლემა პროგრამის ფორმალური გაქრობა კი არ არის, არამედ ის, რომ ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული, რა ფორმით, რა მოცულობით და რა მექანიზმებით გრძელდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა. ეს ამცირებს პროგრამის გამჭვირვალობას და ართულებს იმის შეფასებას, ინარჩუნებს თუ არა მუნიციპალიტეტი 2025 წელს არსებულ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კონკრეტულ კომპონენტებს.

მთავარი მიგნება:

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2025 წელს ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებები მკაფიოდ იყო განსაზღვრული, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტში ისინი ცალკე არ არის გამოყოფილი. შედეგად, ეს ამცირებს საბიუჯეტო ჩანაწერების გამჭვირვალობას და შეუძლებელია, შეფასდეს, რა ფორმით და მოცულობით არის გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა.

3.10 თერჯოლის მუნიციპალიტეტი

2026 წლის ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა ცალკე პროგრამად ან ქვეპროგრამად არ არის გამოყოფილი და, ძირითადად, ზოგად სოციალურ დახმარებებს მოიცავს - მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებას, სამედიცინო თანადაფინანსებას, მარტოხელა მშობლის მხარდაჭერას, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას და ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას.

ეს პროგრამები სოციალური დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან მოიცავს სიღარიბისა და ჯანმრთელობის პრობლემებს, საცხოვრისის საჭიროებას, მარტოხელა მშობლობასა (თუ მშობლების) და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას. თუმცა **ბიუჯეტის ტექსტში ძალადობაგამოვლილი ქალი არ არის გამოყოფილი, როგორც დამოუკიდებელი საჭიროებების მქონე სამიზნე ჯგუფი**.

არსებული პროგრამები **სოციალური მოწყვლადობის ზოგად კატეგორიებზეა ორიენტირებული,** რაც გულისხმობს, რომ საცხოვრისის, სამედიცინო ან ოჯახური მხარდაჭერის ზოგადი პროგრამები შეიძლება პრაქტიკაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიემართოს. ბიუჯეტში ცალკე არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიური, იურიდიული და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები, რომლებიც ქალების უსაფრთხოების და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი.

მთავარი მიგნება:

თერჯოლის ბიუჯეტში სოციალური დაცვის პროგრამები არსებობს, მათ შორის სამედიცინო თანადაფინანსება, მარტოხელა მშობლის დახმარება, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით/ქირით უზრუნველყოფა და საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა. თუმცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ცალკე კატეგორიად არ არის გამოყოფილი.

შედეგად, ძალადობაგამოვლილი ქალების სპეციფიკური საჭიროებები ბიუჯეტში დამოუკიდებელ მიმართულებად არ არის წარმოდგენილი და მათზე რეაგირება მხოლოდ ზოგადი სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში ხდება.

IV. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზის ძირითადი დასკვნები

1. პირდაპირი მხარდაჭერა ხშირად ფულადი დახმარების ფორმით არის წარმოდგენილი

10 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შედარება აჩვენებს, რომ ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ყველაზე გავრცელებული მხარდაჭერის ფორმა **ფულადი დახმარებაა. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ის ერთჯერადი დახმარების, ყოველთვიური დახმარების ან კონკრეტული სერვისის დაფინანსების სახით გვხვდება. თანხები განსხვავდება - 200, 300, 500, 1000 ან 1500 ლარის ფარგლებში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ასეთი დახმარება** პირველადი, კრიზისული საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება და ვერ უზრუნველყოფს ძალადობაგამოვლილი ქალის აღდგენისა და დამოუკიდებელი **ცხოვრებისათვის აუცილებელ გრძელვადიან მხარდაჭერას.**

2. საცხოვრისის მხარდაჭერა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არათანაბრად განვითარებული მიმართულებაა

ბინის ქირა, დროებითი საცხოვრისი, თავშესაფარი ან კრიზისული ცენტრის მხარდაჭერა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ დაფინანსების მოცულობაში არ გამოიხატება, განსხვავებულია თავად მიდგომაც.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მხარდაჭერა პირდაპირ უკავშირდება „ძალადობის მსხვერპლ“ ან „ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირებს“. ზოგან კი საცხოვრისის საკითხი მხოლოდ უსახლკარობის ან დროებითი საცხოვრებლის ზოგად პროგრამებშია მოქცეული. ეს მიუთითებს, რომ საცხოვრისის საჭიროება ძალადობის კონტექსტში ყველა მუნიციპალიტეტში ერთნაირად არ არის აღიარებული და, შესაბამისად, მხარდაჭერის მიზნობრიობაც განსხვავდება.

3. ბავშვები ხშირად უფრო მკაფიო პროგრამულ კატეგორიად ჩანან, ვიდრე ქალები

ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამები თითქმის ყველა მუნიციპალიტეტშია გათვალისწინებული. ეს მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თუმცა ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამები ავტომატურად არ ნიშნავს ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას. რიგ მუნიციპალიტეტებში ქალი მხოლოდ დედის ან ოჯახის წევრის სტატუსითაა წარმოდგენილი, რის გამოც მისი საკუთარი საჭიროებები ბიუჯეტში დამოუკიდებელ მიმართულებად არ არის გამოყოფილი.

4. ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა ყოველთვის არ უზრუნველყოფს პრაქტიკულ მხარდაჭერას

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ან ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების პროგრამები ხშირად მოიცავს საჭიროებების შესწავლას, ცნობიერების ამაღლებას, ტრენინგებსა და საბიუჯეტო წინადადებების მომზადებას. ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური საფუძველია, თუმცა საკმარისი არ არის, თუ მას არ მოსდევს კონკრეტული სერვისი, მკაფიო ბიუჯეტი და მონიტორინგის მექანიზმი.

5. ეკონომიკური გაძლიერება მხარდაჭერის ყველაზე ნაკლებად განვითარებული მიმართულებაა

ეკონომიკური დამოუკიდებლობა ძალადობის პრევენციისა და ძალადობაგამოვლილი ქალების გრძელვადიანი გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. **ამ მხრივ განსაკუთრებით** გამოირჩევა **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი,** სადაც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ცალკე პროგრამაა გათვალისწინებული. **თუმცა, საერთო სურათში**, **ეკონომიკური გაძლიერება** და ქალისთვის დამოუკიდებელი შემოსავლის შექმნაში ხელშეწყობა კვლავ მუნიციპალური მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული მიმართულებაა.

ცხრილი 2.
მუნიციპალური მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტი	კრიზისული დახმარება	ქირა/ თავშესაფარი	ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	იურიდიული მხარდაჭერა	ეკონომიკური გაძლიერება	რეინტეგრაცია/ ადაპტაცია
ზუგდიდი	დიახ	დიახ	არ ჩანს მკაფიოდ	არ ჩანს მკაფიოდ	ნაწილობრი 3	ნაწილობრივ
სენაკი	დიახ	დიახ	ირიბად	არ ჩანს	არა	დიახ
ვანი	დიახ	დიახ	არ ჩანს	არ ჩანს	არა	ნაწილობრივ
ჩოხატაური	დიახ	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	დიახ	ნაწილობრივ
ქუთაისი	დიახ	ნაწილობრივ	2024-ში ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	ნაწილობრივ
წყალტუბო	დიახ	დიახ	არ ჩანს	არ ჩანს	არა	არა
ხობი	2025-ში დიახ	2025-ში დიახ	არ ჩანს	არ ჩანს	არა	ნაწილობრივ
წალენჯიხა	დიახ	არ ჩანს	არ ჩანს	არ ჩანს	არა	არა
ხონი	სუსტად	დიახ, მცირე რესურსით	არ ჩანს	არ ჩანს	არა	არა
თერჯოლა	არ ჩანს	ირიბად	არ ჩანს	არ ჩანს	არა	არა

ცხრილი 3.
მუნიციპალური მხარდაჭერის სისტემის ძირითადი გამოწვევები

ხარვეზი	რას აჩვენებს ბიუჯეტი
ფსიქოლოგიური, იურიდიული და ეკონომიკური მხარდაჭერის დეფიციტი	ბიუჯეტებში ხშირად გვხვდება ფულადი დახმარება, ბინის ქირით უზრუნველყოფა, კვება და სამედიცინო თანადაფინანსება, თუმცა გაცილებით იშვიათად არის გათვალისწინებული ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ფსიქოლოგიური, იურიდიული და ეკონომიკური გაძლიერების სპეციალიზებული პროგრამები.
მცირე თანხები დიდ პრობლემაზე	300, 500 ან 1000 ლარი შეიძლება კრიზისის პირველ დღეებში მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ვერ ქმნის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების რეალურ საფუძველს.
ძალადობაგამოვლილი ქალების სპეციფიკური საჭიროებები ზოგადი სოციალური მოწყვლადობის კატეგორიებში იკარგება.	როცა ქალი მხოლოდ „სოციალურად დაუცველი ოჯახის“ ან „უსახლკარო პირის“ სახით არის წარმოდგენილი, პროგრამა ვერ ითვალისწინებს ძალადობის სპეციფიკურ რისკებს.
ცვალებადი საბიუჯეტო მიდგომა	ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამული აღწერა წლიდან წლამდე განსხვავდება: ერთ წელს მხარდაჭერის ფორმები დეტალურად არის განსაზღვრული, მომდევნო წელს კი მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება. ეს აჩენს კითხვას: პროგრამა გრძელვადიანი პოლიტიკაა თუ ერთწლიანი გამონაკლისი?
ინსტიტუციური მექანიზმი პრაქტიკული მხარდაჭერის გარეშე	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საბჭოს ან შესაბამისი პროგრამის არსებობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერას, თუ მას კონკრეტული პროგრამები/სერვისები და შესაბამისი დაფინანსება არ ახლავს.
მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, როგორც მხარდაჭერის წინაპირობა	მუნიციპალური პროგრამების უმრავლესობა ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდაჭერის მიღებას მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის კრიტერიუმს უკავშირებს. ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ძალადობაგამოვლილი ქალი ხშირად უსაფრთხოების მიზნით ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და დახმარებას სხვა მუნიციპალიტეტში ეძებს. ასეთ შემთხვევებში რეგისტრაციის მოთხოვნა შესაძლოა მუნიციპალურ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის ბარიერად იქცეს.

ცხრილი 4:

მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი კარგი პრაქტიკები

მუნიციპალიტეტი	**რატომ არის პოზიტიური მაგალითი**
ზუგდიდი	მრავალმიმართულებიანი პროგრამული ჩარჩო: ძალადობის მსხვერპლი ჩანს თანასწორობის/ოჯახების პროგრამაში, ბინის ქირაში, სოციალური საფრთხისა და ბავშვთა დაცვის მიმართულებებში.
სენაკი	„სოციალური ადაპტაციისა და ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა“ მხარდაჭერას უფრო ფართო სოციალური ადაპტაციის ჩარჩოში ათავსებს.
ვანი	მოიცავს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებასა და ბინის ქირით უზრუნველყოფას, ასევე ძალადობის მსხვერპლთა შვილი ბავშვის პერსონიფიცირებულ სერვისს.
ჩოხატაური	ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის დამოუკიდებელი საბიუჯეტო პროგრამაა გათვალისწინებული. ქალი განიხილება არა მხოლოდ დახმარების მიმღებად, არამედ საკუთარი ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების პროცესის უშუალო მონაწილედ.
წყალტუბო	ქალთა მხარდაჭერა სოციალური დახმარების ფარგლებს სცდება და მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გინეკოლოგიური მომსახურებისა და ჯანმრთელობის კვლევების დაფინანსებას.
ხონი	მუნიციპალური მხარდაჭერა ვრცელდება, როგორც რეგისტრირებულ, ისე ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებზე, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ ბარიერებს და უზრუნველყოფს სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

4.1 ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის მუნიციპალური სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებები

2024-2026 წლების ბიუჯეტების შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე მიმართულება, რომელთა განვითარებაც ხელს შეუწყობს ქალთა მხარდაჭერისა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების მუნიციპალური სისტემის გაძლიერებას:

- **ქალთა მხარდაჭერისა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების ერთიანი მუნიციპალური სისტემის ჩამოყალიბება**, რომელიც გააერთიანებს პრევენციას, დაცვას, კრიზისულ რეაგირებას, ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას, ეკონომიკურ გაძლიერებას და ქალის აღდგენის პროცესის მხარდაჭერას.
- **მუნიციპალურ პროგრამებში ძალადობაგამოვლილი ქალების დამოუკიდებელ სამიზნე ჯგუფად განსაზღვრა** და მათი სპეციფიკური საჭიროებების ცალკე ასახვა, რათა ქალის მხარდაჭერა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დედის, ოჯახის წევრის ან სხვა ზოგადი სოციალური კატეგორიის სტატუსით.
- **მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვისას ძალადობაგამოვლილი ქალების საჭიროებების შეფასების ერთიანი ინსტრუმენტისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმის დანერგვა**, რათა გამოვლენილი საჭიროებები სისტემურად აისახოს პროგრამებსა და ბიუჯეტებში.
- **მუნიციპალურ ბიუჯეტებში ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისების ცალკე გამოყოფა**, მათ შორის უსაფრთხო საცხოვრისის ან ბინის ქირის დაფინანსების, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული და სოციალური მუშაკის მომსახურების და ა.შ.
- **მუნიციპალური მხარდაჭერის პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**, როგორც რეგისტრირებული, ისე მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის.
- **ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინტეგრირება ოჯახში ძალადობაზე რეაგირების მუნიციპალურ პროგრამებში**, მათ შორის პროფესიული გადამზადების, დასაქმების ხელშეწყობისა და მცირე საგრანტო შესაძლებლობების განვითარების გზით.
- **მუნიციპალურ პროგრამებში სამიზნე ჯგუფების, მხარდაჭერის ფორმების, დაფინანსების მოცულობის, მომსახურების ხანგრძლივობისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების მკაფიო განსაზღვრა.**

პუბლიკაციის მომზადებაზე მუშაობდნენ:

მუნიციპალური ბიუჯეტების კვლევა და შედარებითი ანალიზი

ლინდა ჩიხლაძე
ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა

პუბლიკაციის ანალიტიკური დამუშავება და შინაარსობრივი რედაქცია

ეკატერინე გამახარია
ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა

რედაქტორი

ლალი შენგელია

დიზაინი

ანა ფრუიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: **fundsukhumitbilisi@gmail.com**

womansukhumi@gmail.com

ვებგვერდი: **www.fsokhumi.ge**

ფეისბუქგვერდები: **www.facebook.com/fsokhumi/**

https://www.facebook.com/WFSTbilisiOffice

© ქალთა ფონდი „სოხუმი“, 2026